

ISSN 1987-8729



მიხედვეთ მინას; მინა დაგამუშავებთ და გაფარინობთ თქვენ!

+ 7 998 73 40 7

ეპრესი საბაზო ცენტრი

სამაცნეო-საინჟინერო უნივერსიტეტი

№12 (147) დეკემბერი, 2024



წოვა
გირშავათ
შობა-ახალ წელს!



თბილისი
ქეთევან დედოფლის
გამზირი #77

შუთავისი
ავტომანისა და გეგეთი-
კვეთა

599873407



გამოიწერთ ზურნალი „აგრარული საქართველო“

ზურნალის ერთი ცლით გამოწერა დირს – 36 ლარი
ნახევარი ცლით – 18 ლარი.

გამოწერა შესაძლებელია პრესის გავრცელების
სააგენტოს elva.ge-ს
(ტელ.: 577 30 88 47; 032 238 26 73; 032 2 38 26 74),

ასევე პრეს ი/ი „ნინო ტომარაძის“
ტელ.: 571 01 62 22 მიზანით,

ან ზურნალ „აგრარული საქართველოს“
რედაქციაში,
ტელ.: 599 16 18 31.

დაგვიკავშირებით მითითებულ ტელეფონის
ნომრებზე და თქვენ მარტივად შეძლებთ ჩვენი
ზურნალის გამოწერას და
შეთანხმებულ მისამართზე მიღებას.

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

ნოტიფიკაციები:



ახალი აგრარული
საქართველო
AKHALI AGRARULI SAQARTVELO
(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-
საინიციატივო ჟურნალი.
Monthly scientific-informative magazine
დეკემბერი, 2024 წლის
№12 (147)

სარედაქციო კოლეგია:
შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუგბარ ებანიძე, მიხეილ სიხაძე,
ლაშა ავლიანი, ნეტო გუგუშვილი,
თამარ სანიძე, რუსული გიგმევილი,
ნოდარ ბრევაძე გიორგი ბარისაშვილი,
ნატო ჯაბიძე, ლავით ბარიძე,
მალხაზ ხახაძეგული (ელ. ელექტრო),
agronews.ge-ს კონსულტანტი)
თამა გუგუშვილი (მთ. გრიგორი რედაქტორი)
editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საპჭო:
აკადემიურები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ გახანიძე (თავმჯდომარე),
გურამ ალექსიძე, გვია ჯაბეგიძე,
ზურ ფუტკარაძე, ნინა ჩხარტიშვილი,
ნუგბარ ებანიძე, ზვანდ ბრევაძე,
გიული გოგოლი, ელგუჯა გუგუშვილი,
ნესტან გუგუშვილი, გოგოლა
მარგელაშვილი, ანა გულანი,
ლევან უჯავერიძე, აღოლ ტექშელაშვილი,
ნარინ კაკაძე, კაკური ქერა, გახა ლაშვი,
ჯამელ გაცატაძე, ნურა მემარიშვილი,
ნიკოლოზ ზაბაშვილი, მახეილ ჭიჭაუკა,
ლავით ბოსტაშვილი, რეზო ჯაბიძე,
თენგიზ ურაშვილი, ანატოლი გორგაძე,
მურა გარეჩავა, ზურაბ ლოლაძე,
კობა კობლაძე.

დააკაბალონა გორგი მასტრაძე
ფურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with
the principles of free press.
© სამეცნიერო უფლება დაცულია.
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ივრიული“
(ციფრული ბაზარობენი)
www.dspace.nplg.gov.ge
ახალი აგრარული საქართველო
დაბიცენტრალური შპს „გამოცემლობა სამშობლოში“

გამოცემის:
„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).

რედაქციის მისამართი:
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/�ონ: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53
www.agronews.ge
ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

4 გამოცემის დაცვა, არსაზღვი მდგრადირებები და არსავითვები

არმიზანის

გიორგიაშვილი დამხმარე

„თანამდებობის“ მართვების

გამოცემის ბიბლიოგრაფი,

საქართველო და ეკონომიკური

აუკირივების

14

ვაზის „თანამდებობი“

დამხმარე არმიზანის

მართვების აღმოჩევის

გამდებარების მართვა ვაზის

დაავადებათა გამოცემების

19

სავალი აირგაგში

25 მასიური და კედაგოგი ცეზარ ეპარიშვილი

26 სის ფოთლის ქაფისა და დასარისებას საკითხები

არაესის (მიზის თეილი) -

28 მოვალ-მოვალის ბიბლიოგრაფი თავისებურება

29 გაქოთ კითხვა ერთონისართა?

30 გაქოთ კითხვა აგროცემობა?

შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“ სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

- შურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს სოფლის მეურნეობის თეორიულ და გამოყენებით სფეროებში;
- მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო;
- სტატიები მიღება ქართულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ, ენებზე. სტატია გამოქვეყნდება დენის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მინიმალური მოცულობა 2,5 მაქსიმალური 7 გვერდს, A4 ფორმატი;
- რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან ინგლისურ (აუცილებლად) ენებზე (100-200 სიტყვა);
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. სარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- სტატიის შესავალი, ძირითადი ტექსტი და დასკვნითი ნაწილი;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი (sylifaen) სილფანი, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, კოდიდან დაშორება 2,5 სმ.



7

ძველი მასიური კვლევა
შედება მასში უძიდესი
კორელაცია საჭირო



10

კრაქტიული რჩევები დამწერები
ფინანსურისათვის გაფინანსება

მეფრინველობა (მექათმეობა)
მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მსოფლიოში შინაური ფრინველის რაოდენობა დაახლოებით 34 მილიარდია.



მცენარეთა დაცვა, არსებული მდგრადი და კარსკეტივები

სასოფლო-სამურნეო კულტურების ფარმაციისათვის ერთ-ერთი ძირი-თაღი აროპლება ის მცენარეთა მავნებლები, დაავადებები და სარეველები, რომელთაც ყოველწლიურად მიზანობრივ ზიანს აქციებან ჯერ მცენარეს და შემცირებას.

ზოგადი გათვლებით მთელს მსოფლიოში მათ მიერ გამოწვეული ზარალი მინდვრის პირობებში 30%-ს აღნევს, ხშირად კი გაცილებით მეტიცაა. ამას ემატება შენახვის პირობებში მიყენებული ზარალი, ეს კი დამატებით 10-12%-ს შეადგენს (ფაო-ს მონაცემებით). ეს იმ პირობებში, როდესაც მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ტარდება. მცენარეთა მავნებლების გამრავლების და მათგან გამოწვეული დაზიანების კარგი მაგალითია საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელებული ინვაზიურ სახეობის და მათგან მიყენებული ზარალი, როგორიცაა – ამერიკული თეთრი პეპელა, აზიური ფაროსანა და სხვები.

მცენარეთა დაცვის თანამედროვე სტრატეგია ითვალისწინებს ბრძოლის ინტეგრირებული სისტემის განხორციელებას, რომელიც მიმართულია მავნე ორგანიზმის რიცხოვნობის შეკავებასთან მავნეობის ზღვრის ქვევით, აგროცენოზების წინასწორებისა და გარემოს უსაფრთხოების ფონზე. ინტეგრირებული სისტემები ითვალისწინებს ბრძოლის ქიმიურ ღონისძიებების შეზღუდვას სხვა არაქიმიური, განსაკუთრებით კი ბიოლოგიური ღონისძიებების ფართო გამოყენებით. ასეთი სისტემების შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ – მავნე და სასარგებლო ორგანიზმის ურთიერთდამოკიდებულება, მათზე გარემო ფაქტორების მოქმედება, მათი განვითარების დონამიკა და პროგნოზირება, პესტიციდების გავლენა მავნე და სასარგებლო ორგანიზმებზე, მავნეობის ეკონომიკური ზღვრები და სხვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცენარეთა დაცვის საკითხებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ასოციერების ხელშეკრულების გაფორმების შემ-

დეგ. 2027 წლამდე მცენარეთა დაცვის სფეროში მისაღებია 86 ეროვნული რეგლამენტი, რომელიც პარმონიზებული იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რის შემდეგადაც შესაძლებელია განხორციელდეს მცენარეთა და მისი პროდუქციის შეუფერხებელი ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნები.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ საბჭოთა მეურნეობას და კოლმეურნეობას ჰყავდა მაღალი კვალიფიკაციის დაპლომირებული სპეციალისტი – ენტომოლოგი, რომელიც სწავლობდა მავნებელ-დაავადებათა გავრცელებას მის მეურნეობაში და ხელმძღვანელობდა ღონისძიებების პრაქტიკულ განხორციელებას.

რესპუბლიკის მცენარეთა დაცვის საერთო სისტემას ემსახურებოდა აგრეთვე მცენარეთა კარანტინის ინსპექცია, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა, რეგიონულ ცენტრებთან ერთად, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებდნენ ინვაზიური სახეობების გამოვლენას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარებას.

როგორც ვხედავთ, წარსულ წლებში, მცენარეთა დაცვას, როგორც კვლევით, ისე პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას ემსახურებოდა მრავალრიცხოვანი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რაც რიგი მიზეზების გამო, დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფიტოსაზოგადოებაზე და ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების გატარებაზე.

რა გვაძვს

ამჟამად, მცენარეთა დაცვის სამსახურის ფუნქციონირებდა ბრძოლის ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური კვლევების დამატებით ამავნე მოქმედებების შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით ახორციელებდნენ სასარგებლო მწერების (ტკიბების) გავრცელებას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას. ამასთან დაცვის ეროვნულ მომარებული ღონისძიებების გატარებაზე.

დან. სააგენტო ახორციელებს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პესტიციდების რეგისტრაციას, მათ მოქმედებაზე კონტროლს ქვეყნის ტერიტორიაზე, მავნებელ-დაავადებათა გავრცელებაზე მონიტორინგს, საექსპორტო მცენარეთა პროდუქციის ფიტოსანიტარულ კონტროლს, მის სერტიფიცირებას, საკარანტინო ობიექტების გამოვლენას და ონისძიებების დასახვას მათი ლიკვიდაციისათვის, ხშირად კი მათ წინააღმდეგ პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებასაც.

ძალზედ დადებითი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნამ, რომელიც ქვეყნის მასშტაბით აგრძელი პროფილის ძირითადი კვლევითი ორგანიზაციაა, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მეცნიერები, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ამუშავებენ ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვან პროდლემბს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მცენარეთა დაცვაშიც. სამეცნიერო ცენტრში ფუნქციონირებს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტი, რომელშიც მიმდინარეობს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების, დაავადებების, სარეველების კვლევა და მათთან ბრძოლის ინტეგრირებული, მათ შორის ბიოლოგიური და ბიოტექნიკური ღონისძიებების შემუშავება. დეპარტამენტის ვირუსოლოგიის ლაბორატორიაში იმუნოფერმენტული (ELISA) და პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდებით იდენტიფიცირებულია მცენარეთა ვირუსული, ბაქტერიული და ფიტობაზმური დაავადებების გამომწვევი მრავალი პათოლოგიური ორგანიზმი. მეტად მნიშვნელოვანია აზიური ფაროსანას ბუნებრივი მტრების ძიება და კვლევა, რაც დიაგნოსტიკური ცენტრის „ანასეულის“ ბაზაზე მიმდინარეობს. თუმცა გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნისათვის, რომლისთვისაც დამასასიათებელია მავნე ორგანიზმების დიდი მრავალფეროვნება და გავრცელების მაღალი დონე, სადაც უკანასკნელ წლებში იმატა ინვაზიურმა მავნებლებმა და დაავადებებმა, მცირე რაოდენობის, თუნდაც მაღალი კვალიფიციაციის მეცნიერის მუშაობა საკმარისი არაა. აუცილებლად მიგ-

ვაჩნია ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა.


სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აგრევორ სამინისტროს კვლევით ცენტრში შემუშავებული ვაზის, ხეხილის, თხილის, ციტრუსოვანი, ბოსტნეულ-ბალჩეული, მინდვრის კულტურების მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ინტეგრირებული სისტემები, რომლებშიც გაზრდილია ბიოლოგიური მეთოდის ხვედრითი წილი, გამოვეყნებულია რეკომენდაციების (ბროშურების) სახით, თუმცა სამწუხაროდ, მათი პრაქტიკაში გამოყენება ძალზედ ძნელად მიმდინარეობს.

რა უნდა გაკეთდეს

1. აუცილებელია გადაწყვდეს ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი, რაშიც აკადემიამ თავისი როლი უნდა შეასრულოს, როგორც ტექნიკური, ისე მეცნიერული. აღსანიშნავია, რომ აკადემიის მიერ წლებია დამუშავებულია ასეთი ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკული საკითხები და პირობები, მის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისი ოთახები. აუცილებელია, მოიძებნოს დონორი, რომელიც დაინტერესებულია ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხით და დააფინანსებს მათ სწავლებას. განსაკუთრებით აქტუალურია ფერმერთა სწავლების ჩატარება მცენარეთა დაცვის სამუშავებების ეფექტურ და უსაფრთხო გამოყენების საკითხებზე ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ფერმერები პესტიციდებს იყენებენ აგროტექნიკური ვადებისა და ხარჯვის ნორმების დარღვევით. არასასურველი შედეგის დადგომას კი აბრალებენ პესტიციდების ხარისხს.


2. თანამედროვე პირობებში, დიდი პრობლემაა ბიოლოგიური ბრძოლის სამუშავებების (სასარგებლო მწერების, ტკბების, პათოგენური ორგანიზმების) პრაქტიკული გამოყენების დაბალი დონე. უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა ბიოლოგიური ბრძოლის 5 სანარმოო ბიოლაბორატორია, რომელთაგან დღეს არცერთი აღარ ფუნქციონირებს. საჭიროდ მიგარინა, სულ ცოტა 2 სანარმოო ბიოლაბორატორის აღდგენა, ერთი აჭარის რეგიონში (ქ. ქობულეთში), დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისთვის და მეორე შიდა ქართლში (ქ. გორში), აღმოსავლეთ საქართველოს კონტინენტური კლიმატის ზონაში, სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე მიზნით, უნდა აღდგეს სასარგებლო მწერების, ტკბების, ენტომოპათოგენური ორგანიზმების პირველადი ინტროდუქციის ლაბორატორია აჭარაში, (ქ. ბათუმში) სადაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა განსაკუთრებით საშიში მავნებლების ბუნებრივი მტრების ინტროდუქცია და შესწავლა საქართველოში. ამ გზით, წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შემოყვანილი და აკლიმატიზირებული იქნა 20-მდე მნიშვნელოვანი სახეობა, რომლებიც ჩვენს აგროცენოზებშია გავრცელებულია და დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებენ.

3. უნდა გაძლიერდეს კვლევითი სამუშაოები შესაბამის ინსტიტუტებში, რათა მოხდეს ახალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მავნე სახეობების წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი ატრაქტანტული, ანტიფიდანტური და რეპელენტური თვისებების მქონე პრეპარატების შექმნა. ასეთი ბიოტექ-



ნიკური საშუალებების გამოყენება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მავნე მწერების გამოჩენის პროგნოზირება და შემდგომ მის წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებების დამუშავება. ასეთი სამუშაოები წლების წინ აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში, რომელიც აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ საკითხის პრაქტიკულ განხორციელებაში.

ამავე დროს, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სასურველია დამუშავდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ტყის ჯიშების განსაკუთრებით დიდი მავნეობის მქონე მავნებელ-დაავადებათა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი ღონისძიებები რომლებიც საშუალე-



ბას მოგვცემს მიერიღოთ ეკოლოგიურად მისაღები პროდუქცია. ყოველივე ეს გამართლებულია იმითაც, რომ დღევანდელი ცვლადი კლიმატის პირობები მოსალოდნელია მრავალი ადგილობრივი თუ ინვაზიური მავნე ორგანიზმის მასობრივი გამრავლება და მნიშვნელოვანი ზიანის მოტანა გარემოსა და სოფლის მეურნეობისათვის. გამომდინარე, აუცილებელია ყოველი ასეთი სიტუაციის წინასაზღვრა, ოპტიმალური ღონისძიებების დამუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება.

4. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბიოპრეპარატების წარმოება. წარსულ წლებში და ახლაც, ჩვენს ქვეყანაში შემოდის მრავალი დასახელების ბიოლოგიური პრეპარატი, რომლებიც ხსიათდებიან ადამიანზე და გარემოზე ნაკლები უარყოფი-

თი ზემოქმედებით. ბიოპრეპარატები ჩვენს ქვეყანაშიც იწარმოება და მათი ეფექტურობის გასაზრდელად საჭიროა ბაქტერიული და სოკოვანი ორგანიზმების ადგილობრივი შტამების მოძიება და გამოყენება. ადგილობრივ ნედლეულზე დამზადებული ბიოპრეპარატები ხსიათდებან უკეთესი ხარისხობრივი და ეკონომიკური მაჩვენებლებით. საჭიროა ამ ღონისძიებების მხარდაჭერა და კიდევ უფრო გაფართოება, რადგან ისინი ინტეგრირებული დაცვის ერთ-ერთი ძირითად რგოლს წარმოადგენენ.

5. როგორც ცნობილია, სურსათის ეროვნული სააგენტო რეგიონებში წარმოდგენილია სამმართველოების სახით, ხოლო თბილისში საქალაქო სამსახურის სახით. იქ მომუშავე მცენარეთა დაცვის ინსპექტორები ახორციელებენ მათ სამოქმედო არეალში სხვადასხვა მნიშვნელოვან აქტივობებს: პესტიციიდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების კონტროლს; საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების მონიტორინგს; საექსპორტო ტვირთების ფიტოსანიტარიულ სერტიფიცირებას და სხვა. მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით აუცილებლად მიგვაჩინია შესაბამისი შტატების გაზრდა რათა შეუფერხებლად განხორციელდეს ზემოაღნიშნული პროცესი.

6. რადიკალურად არის შესაცვლელი უმაღლეს სასწავლებლებში მცენარეთა დაცვის სპეციალობის სწავლების საკითხები, მსხვილ კომპანიებს ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში ჩამოჰყავთ უცხოელი სპეციალისტები რომლებიც წარმართავენ მეურნეობებში მცენარეთა დაცვის საკითხებს. განსაკუთრებით ეს აღსანიშნავია საქართველოსთვის შედარებით ახალ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში (ნუში, ფსტა, კუნკროვნები, კაკლოვნები). უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაფართოვდეს სპეციალისტების მომზადება ისეთ მიმართულებებზე როგორიცაა: ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, მცენარეთა ქიმიური დაცვა, მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა, მცენარეთა კარანტინი, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემები როგორც ეს ხდება განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებში. კარგი იქნება თუ ტელევიზიაში შეიქმნება სპეციალური რუბრიკა „მცენარეთა დაცვა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ძირითადი გზა“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ამ დარგის გამოცვლილი სპეციალისტები.

7. მნიშვნელოვანი იქნება, თუ საქართველოში ჩამოყალიბდება „მცენარეთა დაცვის საზოგადოება“, რომელიც გააერთიანებს ამ დარგის ახალგაზრდა, აგრეთვე ღვაწლმოსილ სპეციალისტებს, რომლებიც პერიოდულად განიხილავენ ქვეყნის წინაშე მდგარ მცენარეთა დაცვის აქ-

შორის, ყველაზე ახალგაზრდა, ჯერ კიდევ შემორჩენილი მცენარეთა დაცვის აგრონომის საშუალო ასაკი 70 წელის ფარგლებშია.

7. საჭიროდ მიგვაჩინია აგრარულ უნივერსიტეტში აღდგეს ფაკულტეტი, ხოლო ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნას სპეციალობა „მცენარეთა დაცვა, ეკოლოგიის საფუძვლებით“, თუ რამდენი სპეციალისტი მომზადდეს ყოველწლიურად, ეს უნდა განსაზღვროს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მაღალპროფესიული კადრი სამსახურის გარეშე არ დარჩება. აუცილებელია კადრების მომზადებისთვის გამოყიდვით, როგორც ადგილობრივი, ასევე ეკოროპული ქვეყნისა და აშშ გამოცდილება, უნდა მოხდეს ახალგაზრდა სპეციალისტების (ჯუფურად) მომზადება საზღვარგარეთის მონინავე ცენტრებში, გრძელვადიანი მივლინებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად.

8. ატტიურად უნდა იქნას გამოყენებული პრესა, რადიო, ტელევიზია, ფერმერების ცნობიერებისა დაცვის თვალსაზრისით მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული ღონისძიებების სწორად გამოყენების მიზნით. საჭიროა შეიქმნას იმ ფერმერთა წახალისების მექანიზმები, ვინც დაინტერესებულია მოიყვანის ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და გამოიყენოს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემები როგორც ეს ხდება განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებში. კარგი იქნება თუ ტელევიზიაში შეიქმნება სპეციალური რუბრიკა „მცენარეთა დაცვა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ძირითადი გზა“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ამ დარგის გამოცვლილი სპეციალისტები.

9. მნიშვნელოვანი იქნება, თუ საქართველოში ჩამოყალიბდება „მცენარეთა დაცვის საზოგადოება“, რომელიც გააერთიანებს ამ დარგის ახალგაზრდა, აგრეთვე ღვაწლმოსილ სპეციალისტებს, რომლებიც პერიოდულად განიხილავენ ქვეყნის წინაშე მდგარ მცენარეთა დაცვის აქ-



ტუალურ პრობლემებს და დასახავენ მათი გადაჭრის გზებს. ეს საზოგადოება ჩვენის აზრით უნდა შეიქმნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს სრული მასშტაბით გამოვიყენოთ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემები, რითაც დავიცავთ მცენარეს და გარემოს

დაბინძურებისაგან. უვნებელი, მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტი კი შეუფერხებლად განხორციელდება საზღვარგარეთის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში.

გურამ აღმაშინება

აკადემიკოსი (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია),

გამორ ჩახრავლი,
პროფ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი),

გურამ ხილავაძე,
აკად. დოქტორი (სურსათის ეროვნული სააგენტო),

ნიკა გასხი,
აკად. დოქტორი (სურსათის ეროვნული სააგენტო),

გურამ ლულაძე,
აკად. დოქტორი


პრატისტური თავა

ქვევრს მეცნიერები კვლევა ჭირდება მასში უდიდესი კოტენიული ჩადეგული

ფრანგება მოგზაურება შავ ფრანსუა გამგამ საფრანგეთის მთავრობის დავალებით, საქართველოში 1822-24 ცლებში იმოგზაურა. მას დავალებული პროცედა, რუსეთის იმპერიის სამხრეთით მდებარე ქვეყნებთან, კერძოდ კი საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების პროცესში შემთხვევაში შემსრულდა.

მოგზაურობის დროს, ქვეყნის სიმდიდრითა და მოსახლეობის სიღარატაკით განცვითრებულმა ფრანგმა მოგზაურმა თავისი ამ მოგზაურობისადმი მიძღვნილ ანგარიშში ჩანსრა: „ამ დალოცვილი ქვეყნის-თვის უფალს ყველაფერი მიუცია, კაცს კი დღემდე არაფერი გაუკეთებია“. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე გიორგი კლიმოვი, რომელიც ომის შემდეგ საბჭოეთში ალარ დაბრუნდა და შემდგომი მოღვაწეობა ამერიკაში გააგრძელა, ფილოსოფიურ თემაზე დაწერილი მრავალი წიგნის ავტორია. მის კალამს ერთი ასეთი

ფრთიანი გამონათქვამი ეკუთვნის. ჩვენდა სასირცხვილოდ, უკა ფრანსუა გამბა დღესაც რომ წამოაყენო და ამოგზაურო საქართველოში, ჩვენს გაუბედურებულ ცხოვრებაზე იმავეს დაწერდა. სულმნათი გიორგი კლიმოვი კი დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო დროინდელ ყველა მთავრობის მუშაობის სტილს და შედეგებს, თავისი აფორიზმად თქმული სიბრძნის ბრწყინვალე მაგალითად მოიყვანდა. სამწუხაროდ, არც დღევანდელ და არც დღემდე არსებულ ხელისუფლებებს არანაირი მიზეზი არ აქვთ მათი ეს შეფასება, რაიმე ობიექტური არგუმენტით





უარყონ, პირიქით, კიდევ რბილადაა ნათქვამი.

უფლის განგებით დედამიწის ყველა კუთხე-კუნძულსა საკმარისი რაოდენობის რესურსები აქვს იქ მცხოვრები ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის, თუ რა თქმა უნდა, ქვეყნის ხელისუფლება ამ რესურსებს ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო აქაც სხვებზე უკეთეს პირობებშია, რადგან ამონურვად წიაღისეულ სიმდიდრესთან ერთად, ამოურურავი და მუდამ განახლებადი სიმდიდრე აქვს ვაზის, ღვინის და ქვევრის სახით, რომლებიც სანამდე კაცობრიობა იარსებებს, არც დაილევა და ყავლიც არასდროს გაუვა. რა თქმა უნდა, ეს თემა დიდია და ერთ წერილში ყველა მათგანის გაშუქება შეუძლებელია, ამიტომ ამჯერად ქვევრის იმ სიკეთეზე ვისაუბროთ, რომლის მოტანა ღვინის ამ ბუნებრივ ჭურჭელს ქვეყნისთვის შეუძლია, თუ რა თქმა უნდა, მის სიკეთეს ბოლომდე გამოვიყენებთ.

ქვევრი ღვინის ჭურჭელია, ღვინო კი ჭურჭელს სამ ძირითად მოთხოვნას უყენებს:

1) იყოს ღვინისათვის ინერტული, ანუ ღვინოს არ გადასცეს თავისი ქიმიური და მინერალური ნივთიერებები;

2) ჭურჭლის კედელს კარგი აერაციის უნარი ჰქონდეს;

3) მასში ჩასხმული ღვინო, მის შესანახად გათვალისწინებულ მუდმივ დაბალ ტემპერატურაზე შეინახოს.

ღვინის ევროპულ ჭურჭელს მუხის კასრს, მხოლოდ კარგი აერაციის

უნარი აქვს, რაც შეეხება ინერტულობას, მას ეს თვისება არ გააჩნია, ანუ მუხის მერქანი ღვინოს თავის ქიმიურ ნივთიერებებს ინტენსიურად გადასცემს და სწორებ ამისთვის აგარგებენ მას ახალი მუხის კასრში. ასევე სათავსოს, სადაც ღვინით სავსე მუხის კასრები დგას, საჭირო მიკროკლიმატს, კონდიციონირებით უქმნიან. ასეთივე პროცესი მართალია, ის ღვინისათვის ინერტულია, მაგრამ არა აქვს აერაციის უნარი და მარანში ტემპერატურულ რეჟიმს ტექნიკის დახმარებით ქმნიან. რაც შეეხება თიხის ქვევრს, ის გამოწის შედეგად ქვად ქცეული თიხა და ამიტომ რამდენიმე წლიანი (3-5 წ.) გამოიყენების შემდეგ მისი კედელი, ღვინისთვის ინერტული ხდება. ასევე, ის გაუსანთლავი კედლით, კარგი აერაციის უნარით გამოირჩევა. ღვინის შენახვისათვის საჭირო ტემპერატურა კი ქვევრში ჩასხმულ ღვინოს დედამიწის ლითოსფეროსი (+14°C) წლის ნებისმიერ დროს ბუნებრივად აქვს, ანუ ქვევრი სამივე იმ მოთხოვნას აქმაყოფილებს, რომლებსაც ღვინო ჭურჭელს უყენებს, ეს გარემოება კი მას, ევროპულთან შედარებით, ათითავით მაღლა აყენებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დღემდე არანაირი ტექნიკა-ტექნოლოგია არ არსებობს იმისათვის, რომ მარანში ღვინოს მისთვის განკუთვნილი მუდმივი დაბალი ტემპერატურა შეუქმნას, არადა ხარისხიანი ღვინის დაყენების დროს მისთვის საჭირო მუდმივი ტემპერატურა, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამიტომ ქვევრში უმაღლესი ხარისხის ბუნებრივი ღვინის

დავარგება და დაძველება, ბევრჯერ ნაკლები დანახარჯით ხდება, ვიდრე ღვინის ევროპულ ჭურჭელში. ყველა აქედან გამომდინარე, დღეს და ყოველთვის ჩვენი მიზანი სწორედ ქვევრის ყველა ამ თვისებათა გამოკვლევა, რეკლამირება და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის 33 წლის მანძილზე ამის გამგები ხელისუფლება არ აგვარჩევინეს და ამიტომ ასეთი სიმდიდრე გამოუყენებელია.

ცნობილია, რომ ქვევრი, ღვინის უნიკალური ჭურჭელია, მაგრამ ის მაშინაა ასეთი, როცა წესის და რიგის მიხედვითაა აშენებულ-გამომწვარი და ყოველგვარი წესების დაცვითაა მინაში ჩადგმული. ამ წერილით, სწორებ ამ ნაკლოვანებათა მონახვა-აღმოფხვრის ძველ ტრადიციებზე და ღვინის მისი გაგრძელების აუცილებლობაზე მინდა ვისაუბროთ. ასევე, განვიხილავთ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შემთხვევაში რა დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის ქვევრს:

მართალია ქართველები ქვევრს 80 საუკუნეა ვიყენებთ, მაგრამ ის ბოლომდე შესწავლილ-დახვეწილი დღემდე არაა, რადგან ამას ბევრი, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მიზეზები ჰქონდა და აქვს. მიზეზთა შორის პირველ რიგში ქვევრისადმი ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე ხელისუფლების აბსოლუტური უყურადღებობაა, რადგან ქვევრის ფენომენი დღემდე მეცნიერულად შეუსწავლელია და ეს სწორებ ხელისუფლების ნებით და ძალისხმევით, მათ მიერ დაფინანსებულმა კვლევით ინსტიტუტებმა უნდა გააკეთოს, რომელი ინსტიტუტიც საქართველოს წინა ხელისუფლებამ დაანგრია, ხოლო ვაზის და ღვინის სამშობლოში ასეთი ინსტიტუტი თუა საჭირო, ამაზე დღევანდელ მთავრობას, არც უფიქრია.

ცხადია, ჩვენს წინაპრებს ქვევრის მეცნიერული შესწავლა არ შეეძლოთ, რადგან ადრეულ საუკუნეებში ასეთი მცნებაც კი არ არსებობდა, მაგრამ მათთვის ეს, არც იყო საჭირო, რადგან ამ მიზნით ჰქონდათ თავიანთი დროის უნიკალური მეთოდი, კერძოდ, ქვევრის გამოყენების პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, ანუ

ჩასმა მორგების პრინციპი. ამგვარად, ათობით საუკუნის მანძილზე ამ მეთოდით მოხდა ქვევრის განახლება-დახვენა. ეს, რომ ასე იყო ამის ნათელი მაგალითია 80 საუკუნის უკან აშენებული ქვევრი, რომელიც ბრტყელ ძირზე ყელის და ფარფლის გარეშეა აშენებული, დღეს კი ქვევრი კონუსური ძირით, ბეჭებით, ყელით და ფარფლით შენდება. ღვინის დაყენების რაღაც ეტაპზე უძველესი იპერები მიხვდნენ, რომ ღვინის ხარისხის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებისთვის მისი მუდმივ დაბალ ტემპერატურაზე შენახვა საჭირო. რადგან იმ დროს მუდმივი დაბალი ტემპერატურა მხოლოდ მინაში იყო, ამიტომ ქვევრი მინაში ჩადეგს. მართალია ამით ღვინის შენახვის ტემპერატურა დარეგულირდა, მაგრამ ამან გააჩინა სხვა პრობლემები კერძოდ, ბრტყელი ძირის გამო ქვევრი ღვინისა და ნარეცხი წყლისგან ბოლომდე ველარ გაცალეს. დაფიქრდნენ და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქვევრის ბოლომდე გაცლისთვის აუცილებელია ის კონუსურ ძირზე დამზადდეს და ამგვარად ეს ნაკლიც გამოასწორეს. შემდეგ კი მინაში ჩადგმულ ქვევრს გაუჩნდა სხვა პრობლემა, კერძოდ: მისი კედლიდან ღვინომ დაიწყო გაუნვა. დაიწყეს ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ფიქრი და მიხვდნენ, რომ ამის მიზეზი, შეიძლება ქვევრის გარშემო შემოყრილი მინის გამოშრობა იყოს (დღეს მეცნიერულადაა დამტკიცებული, რომ გამომშრალი მინა, ნებისმიერი ფორიანობის ქვევრიდან გაიწოვს ღვინოს), ანუ საჭიროა ქვევრის გარშემო შემოყრილი მინის პერიოდული დანესტიანება. მათ, ეს პრობლემა, ქვევრის თავისი გარშემო საწყლეო ორმოების დატოვებით გადაწყვიტეს.

როგორც ხედავთ ასეთი ძიებისა და ალმოჩენილ პრობლემათა გადაწყვეტის შედეგად ჩვენმა ნინაპარმა ღვინის უნიკალური ჭურჭელი მიიღო. მიუხედავად ჩვენი ნინაპრის დიდი მცდელობისა ქვევრი დაჭვენა-გაუმჯობესებას დღესაც საჭიროებს, რადგან დღეს ღვინო სულ სხვა მოთხოვნებს უყენებს ქვევრს, ვიდრე მრავალი საუკუნის ნინათ. ამას კი

მეცნიერული კვლევა და დარჩენილ პრობლემათა გამოვლენა-გამოსწორება უნდა, ეს კი არ კეთდება, რისი მიზეზითაც იკარგება ის დიდი პოტენციალი, რომელიც ქვევრშია ჩადებული.

დღეს, ყველაფერ იმას, რაც ქვევრის შესახებ წინაპართაგან ვიცით კვლევით დამტკიცება უნდა, ანუ უნდა დაიდოს მოქმედების მექანიზმი და დამტკიცდეს რომ ეს ყველაფერი ქვევრში შემთხვევით კი არ ხდება, არამედ კანონზომიერებაა. მაგ. ავილოთ ქვევრის კედლის მიერ უანგბადის გატარების უნარი, რომელიც კერამიკოსებს შორისაც სადავოდაა ქცეული (კერამიკის პროფესორს გურამ გაფრინდაშვილს ამის გაგონებაც




არ უნდა და ეს ბევრ წერილშიაც აქვს აღნიშნული). ეს დავა რომ გადაწყდეს, ამისთვის საჭიროა სათანადო ცდების ჩატარება და მექანიზმის დადება.

აუცილებლად მიმაჩნია ფიზიკოსებისა და მათემატიკოსების მიერ ქვევრის ფორმის ფენომენის ფუნდამენტური შესწავლა, ანუ რა საიდუმლოებები დევს მის ფორმაში და რა გავლენას ახდენს ის ღვინის ორგანოლებტიკაზე. ქმედებას ადგილი აქვს, მიზეზი კი არ ვიცით. ასევე გამოკვლეული უნდა იქნას ქვევრის სხვა უამრავი დადებითი და ის უარყოფითი, რომელიც ქვევრს დღემდე აქვს. კვლევებით მიღებული შედეგებიდან ყველა დადებითს რეკლამა უნდა გა-

ვუკეთოთ, ხოლო უარყოფითი გამოვასწოროთ.

ქვევრი, რომ ღვინის ჩვეულებრივი ჭურჭელი არ არის ამას ყველა ხედავს და თანხმდება, მაგრამ რითაა ის არაჩვეულებრივი სწორედ ესაა დასადგენი, რომელსაც ფუნდამენტური კვლევა უნდა და ეს კვლევა, ენთუზიასტების დონეზე კი არ უნდა ჩატარდეს, არამედ სახელმწიფოს მიერ დაუინანსებულმა კვლევითმა ინსტიტუტმა უნდა ჩატაროს, რომლის მიერ დადებული დასკვნა სადაო არ იქნება, ანუ დონეა საჭირო.

ჩვენი წინაპარი, ქვევრის პრობლემის გამოსწორებას მისი გამოჩენის შემდეგ რომ ახდენდა, ამის ნათელი მაგალითია ქვევრის დაკირვის კულტურის დამკვიდრება. ცნობილია, რომ ქვევრების დაკირვა, XI საუკუნის ბოლოს დაიწყეს, მეცნიერთა ვარაუდით ამის მიზეზი, საქართველოში მომხდარი მძლავრი მინიძვრა უნდა ყოფილიყო, რომლის დროსაც ქვეყანაში უამრავი ქვევრი დაზიანებულა. ანუ სანამდე არ დადგა პრობლემა, ქვევრის კედლის სისქის მომატებაზე ან სხვა საშუალებებით მის გამაგრებაზე არავინ იფიქრა, ანუ სანამდე პრობლემა არ გამოჩნდა, წინასწარ ვერავინ დაინახა (მეცნიერის მოვალეობა სწორედ ამის წინასწარ განჭვრეტა), რომ ქვევრს კედლის სიმკვრივის პრობლემა აქვს. ქვევრის კედლის სისუსტის პრობლემა მაშინ რა თქმა უნდა, ქვევრის სქელი კედლით აშენებით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ქვევრის სქელი კედლით აშენება, მისი შრობა-გამოწვის დროს დიდ პრობლემებს ქმნის და ასევე, ეს სქელი კედელი, ძვირფასი თიხა-მასალის დიდ ხარჯთანა დაკავშირებული, ამიტომ ჩვენმა წინაპარმა ქვევრის სიმტკიცის პრობლემის გადასაწყვეტად ქვევრის კედლის დაკირვა აირჩია და პირადად პრობლემის ამ გზით გადაწყვეტა, გენიალური მიგნებად მიმაჩნია. გარდა ქვევრის კედლის გამაგრებისა ქვევრის დაკირვის ტრადიციის დამკვიდრება, ქვეყანაში კირის ნარმოების გაფართოებას ითხოვს, ეს კი დამატებითი სამუშაო ადგილი და შემო-



სავალია, ანუ ქვევრს ეს პოტენციალიც აქვს.

ყველა ზემოთ აღნიშნული, ნათელი მაგალითია იმისა თუ ჩვენი წინაპარი, საუკუნეების მანძილზე, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ახდენდა ქვევრის ხარისხობრივ გაუმჯობესებას. დღეს კი ეს ყველაფერი, მეცნიერულ დონეზე უნდა იქნას გამოკვლეულშესწავლილი, ანუ გამოკვლეულ უნდა იქნას ქვევრის ყველა ლირსება და დადგინდეს, კიდევ რა ღონისძიება უნდა გატარდეს იმისათვის, რომ ქვევრი ისედაც უნიკალური ჭურჭელი, უფრო უნიკალური რომ გახდეს. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე ამისთვის ვერც ხელისუფლებამ მოიცავს და ვერც მეცნიერმა (თუმცა სადღა გვყავს მეცნიერი), ანუ ქვევრის კვლევა დღემდე ენთუზიასტების ზრუნვის საგანია, მსოფლიო მეღინეობა კი დიდი ხანია ჩვენგან, ხარისხიან ქვევრს ელოდება. ხარისხიანი ქვევრის აშენება კი მისი შენების პროცესში თანამედროვე ტექნიკატექნიკის ჩართვას მოითხოვს, ანუ ძელი კუსტარული მეთოდით აშენებული ქვევრით ევ-

როპის ბაზარზე არაფერი გვესაქმება. თუ ყველაფერი ასე გავრძელდა ადგილი შესაძლებელია, რომ ქვევრი მსოფლიოში ინდუსტრიული მეღვინეობის დონეზე ვერ დავნერგოთ და მისი ადგილი, ევროპაში დამზადებულმა რეინა-ბეტონის კვერცხის ფორმის ჭურჭელმა დაიჭიროს, როგორც ეს მუხის კასრების შემთხვევაში მოხდა.

ქვევრის შენების პროცესში ბევრი სიახლეა შემოთავაზებული ქართველი ენთუზიასტების მიერ, ბევრი ენთუზიასტი დაპატენტებული გამოგონების ავტორია, ყველა ამ სიახლეს მეცნიერულად შესწავლა და პრაქტიკულად შესრულება და დაკვირვება უნდა, რაც კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მეშვეობით უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, ეს სასწავლო ცენტრები არ გვაქვს, მათ გარეშე კი იკარგები ის დიდი პოტენციალი, რომელიც ქვევრშია ჩადებული.

როგორც ნაშრომის სათაური ამბობს ქვევრში დიდი პოტენციალია ჩადებული და ეს პოტენციალი ის უამრავი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილია, რომელიც ქვევრის

მსოფლიო მეღვინეობაში დანერგვის შემდეგ ქვეყანაში გაჩნდება, რადგან მსოფლიო მეღვინეობა ყოველწლიურად ათიათასობით ქვევრს მოგვთხოვს. გარდა ამისა ქვევრის წარმოება დიდად მომგებიანი ბიზნესია, რადგან მის ასაშენებლად, მხოლოდ თიხაა საჭირო, რომლის კარიერები მრავლადაა საქართველოში, რაც შეეხება მის გამოწვის ამისთვის ბუნებრივი აირა ან ელექტროენერგიაა საჭირო, რომლის მოძიება საქართველოში პრობლემას არ წარმოადგენს. ასევე, გვყვანან თიხასთან მომუშავე კადრები. ქვევრის გასაღების პრობლემა კი არ გვექნება, რადგან ყველა ღვინის მნარმოებელ ქვეყანას ქვევრიც ბევრი სჭირდება. რაც შეეხება წარმოების ხარჯებს ერთი სამტონიანი ქვევრის აშენება სულ დიდი 1500\$ ჯდება, გასაყიდი ფასი კი 8-10 ათასი დოლარი იქნება. როგორც ხედავთ ქვევრების შენებაში დიდი პოტენციალია ჩადებული, რომლის გამოყენებლობა დაუსაქმებელი და ლატაკი ქვეყნის ხელისუფლებისთვის, დანაშაულის ტოლფასი ქმედებაა.

ქვევრის სიკეთე და მსოფლიო მეღვინეობაში დანერგვა ამით არ ამოინურება. მსოფლიოში წარმოებული ქვევრის ღვინის ეტალონი ქართული ქვევრის ღვინო იქნება, რომელ ღვინოსაც ბევრსაც გავყიდით და ფასიც მაღალი ექნება, ანუ დღევანდელი საქართველოში წარმოებული ევროპული ტიპის ღვინოების ფასი კი იკარგები ის დიდი პოტენციალი, რომელიც ქვევრშია ჩადებული.

ზორა გაბრიშვილი
თსუ-სთან არსებული
ნახევარგამტართა ფიზიკის
ს/კ ინსტიტუტის უფროსი
მკვლევარი საქართველოში
აკადემიის აკადემიკოსი

მაცრიცველობა

პრაქტიკული რჩევები და მეცნიერებები მეცნიერებების განვითარების მიზანისთვის

როგორ გავზარდოთ
ფინანსური საბაზომიდამ
პირობებში?

მეფრინველებობა (მეცნიერება)
მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მსოფლიოში შინაური ფრინველის რაოდენობა

დაახლოებით 34 მილიარდია. ფრინველი იძლევა ძვირფას საკვებს პროდუქტს, მათ შორის, კვერცხს, რომელიც ბიოლოგიურად სრულფასოვანია და შეიცავს ორგანიზმისთვის საჭირო ყველა კუსტარული საყუათო ნივთიერებას.

ფრინველის ხორცი დიეტურ-ცილინდრი პროდუქტია. ის დამატებით იძლევა ფრთა-ბუმბულს, და ორგანული სასუქის სახით წაკელს. გადამუშავების პროცესში წარჩენებისგან მზადდება ცხოველური წარმოშობის საკვები დანამატები, რასაც წარმა-

ტებით იყენებენ მეცხოველეობის ცალკეულ დარგებში.

კვებითი ღირებულებით 1 ქათმის კვერცხი 40-45გრ. ძროხის ხორცის და 200 გრ. რძის ტოლფასია. 100 გრ. კვერცხის მასა 160-165 კ/კალორია ენერგიას შეიცავს. ქათმის კვერცხი ადვილად მოსანელებელია, შენახვის ხანგრძლივობითაც აღმატება სხვა ცხოველურ საკვებს. მისგან მზადდება სხვადასხვა კერძი. კვერცხის ცილა გამოირჩევა ბაქტერიოფიდული თვისებებით, რასაც განაპირობებს მასში ლიზოციმის არსებობა ის აჩერებს მიკრობების განვითარებას.

ფრინველებიდან განსაკუთრებული კვებითი ღირებულებით გამოირჩევა მწერის კვერცხი. მას აქვს სამკურნალო თვისებები, კერძოდ, სასარგებლობა ასთმის და სისხლის მიმოქცევის დარღვევისას. მწერის კვერცხი B ჯგუფის ვიტამინებსა და მიკროელემენტებს (რეინას, კალციუმს, სპილენძს, კობალტს და სხვა) გაცილებით დიდი რაოდენობით შეიცავს, ვიდრე სხვა შინაური ფრინველის კვერცხი. განსაკუთრებით გამოირჩევა ფარაონის ჯიშის მწყერი, რომლის მამლის (40-45 დღის) წონა 250 გრამია, დედლის კი 200 გრამი. ის წელიწადში დებს 12-16 გრამ წონის მქონე 150-300 ცალ კვერცხს.

მწყრის კვერცხი განსაკუთრებით კარგია ბავშვისთვის. სასურველია მისი მიღება ჭამამდე, 2-5 ცალი. არ იწვევს დიათეზს.

მაღალი კვებითი ღირებულებით გამოირჩევა შინაური ქათმის ხორცი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ბუნებრივად ("შინაურულად") არის გაზრდილი.

ქათმის ხორცის შეთვისება თითქმის 85%-ით ხდება (ძროხის 75%-ით, ღორის 70%-ით, ცხვრის 65%-ით).

ქათმის 1 კგ ხორცის კალორიულობა 200 კ/კალ. - ხორცის საკვებად ვარგისი ნაწილია 52%; ქათმის წინილის 1 კგ ხორცის კალორიულობაა 185 კ/კალ. - ხორცის საკვებად ვარგისი ნაწილი 46%.

მწყრის 1 კგ ხორცის კალორიულობაა 280 კ/კალ, საკვებად ვარგისიანობა 50%.

შინაური ფრინველის ხორცის და კვერცხის კალორიულობა დამოკიდებულია ფრინველის ასაკზე. არჩევენ

ზრდასრულ ფრინველს (10-12 თვის) და მოზრდილს (2-3 თვის).

ფრინველის ხორცი ნაზი ადვილად მოსანელებელია, ყუათიანი დიეტური საკვებია. კუჭ-ნაწლავით, ღვიძლით, გულითა და ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანისთვის ერთადერთი უვნებელ საკვებს წარმოადგენს.

კვერცხს ფრინველის ორგანიზმი ახალი თაობის წარმოსაქმნელად გამოიმუშავებს. არჩევენ განაყოფიერებული და გაუნაყოფიერებელი ფრინველის კვერცხს. ორივე თანაბარი კალორიულობით ხასიათდება. ფრინველის გაუნაყოფიერებელი კვერცხი საინკუბაციოდ (ახალი თაობის მისაღებად) გამოუსადეგარია.

ფრინველის კვერცხი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ცილა, ყვითრი და ნაჭუჭი. ცილა კვერცხის დაახლოებით 60%-ია, ყვითრი – 30%, ხოლო ნაჭუჭი 10-12%.

ყვითრის ქიმიური შედგენილობა სხვადასხვა სახეობის ფრინველისათვის სხვადასხვაა. ცილის შემადგენლობაში 75% უკავია წყალს.

ფრინველი სწრაფად იზრდება (სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთან შედარებით), მაღალ აღნევს სამეურნეო სიმწიფეს და ადვილად მრავლდება. მეხორცული ქათამი სამეურნეო სიმწიფეს აღნევს 2-3 თვის, ინდაური და ბატი 5-6 თვის, იხვი 2.5-3 თვის

ასაკში. მეცნიერებული ქათამი კვერცხის დებას ინუბებს 120-180 დღიდან (კვერცხის დადების ასაკი დამოკიდებულია ქათმის ჯიშზე, მეხორცული ჯიშები კვერცხი დებას ინუბები მოგვიანებით, დაახლოებით 8 თვის ასაკში).

1 ნლის განმავლობაში თითოეული ქათმისგან შეიძლება მივიღოთ საშუალოდ 100, იხვისგან 80-100, ბატისგან 15-90, ინდაურისგან 40-50 ფრთა მოზარდი.

ქათმების კვერცხდება და დადების სისხირე დამოკიდებულია ჯიშზე (მერყეობს 130-დან 220 კვერცხამდე წელიწადში), ქათმები კვერცხებს დებს ყოველ 2-3 დღეში.

არსებობს კვერცხდების დაჩქარების გზები, მაგალითად ხელ ხელოვნური განათების დახმარებით, დღის სათების გადიდებით. ასევე მაღალი სარისხის საკვები ბუნებრივად ზრდის კვერცხის წარმოებას. თუმცა, უნდა გეახსოვდეს რომ ქათამი ცოცხალი ორგანიზმია და მისი კვერცხუჯრედის ორგანოები ყოველ დადებულ კვერცხთან ერთად ცვდება, ამიტომ თუ ქათამი კვერცხს ყოველდღე დებს მისი რესურსი 10 თვის შემდეგ ამოინურება.

ჩვეულებრივ ქათმების კვერცხის დადების პერიოდი, იმ პირობით, რომ ისინი კვერცხს დებენ ყოველ 2-3 დღეში, დაახლოებით 2 წელია.





ამ პერიოდის შემდეგ ქათმებს ჩვეულებრივ კლავენ ხორცისთვის, რადგან ფრინველების შენახვა წამგებიანი ხდება.

სახლის პირობებში ზველაზე მომზადიანია ქათმის და მცხრის გამოზრდა

ახალდადებული კვერცხის ტემპერატურა ფრინველის ტემპერატურის ტოლია. გაცივების გამო კვერცხის ბლაგვ ბოლოში საპარატო კამერა წარმოიქმნება, რომელშიც წნევა ატმოსფერულზე ნაკლებია, ამის გამო ნაჭუჭის ფორების გავლით საპარატო კამერაში აღწევს ჰაერი, რომელსაც ბაქტერიები შეაქვს. ეს კი კვერცხის დაბინძურების და ინკუბაციის უნარის შემცირებას იწვევს.

დავიძახსოვროთ:

1. ფრინველის ბუდე მშრალი და სუფთა უნდა იყოს. ფრინველის ახალდადებული კვერცხი გარედან ლორწოვანი სითხის თხელი ფენითაა დაფარული. სითხის გაშრობის შემდეგ კვერცხის ნაჭუჭის გარეზე დაბინძურებით გადატენება, რომელიც კვერცხის შიგთავსას ბაქტერიების ზემოქმედებისგან იცავს. კვერცხის ნაჭუჭი ძირითადად, კალციუმის კარბონატის (კირქვა) და ფოსფორის შენაერთებისაგან შედგება. მასში გარედან მისი ფოსფან-მებრანული აგებულების გამო ადვილად აღწევს უანგბადი, ხოლო შიგთავსიდან გარეთ კი – ნახშირონ-უანგი.

როგორც აღნიშნეთ ფრინველის აღნარმოებისათვის გამოიყენება განაყოფიერებული საინკუბაციო კვერცხი.

2. საინკუბაციო კვერცხის სწორი შენახვა განაპირობებს გამოჩეკის მაღალ პროცენტს.

3. საინკუბაციო კვერცხის მასა ქათმისთვის საშუალოდ 52-55 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს.

4. საინკუბაციო კვერცხი შენახვის დროს არ უნდა ხდებოდეს ორპირ ქარში, რადგან ეს გამოინვევს კვერცხიდან წყლის აორთქლებას და ნაჭუჭის შრობას.

5. ინკუბაციისათვის განკუთვნილი კვერცხი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მშრალ სათავსოში ინახება, რომლის ტემპერატურა +14 გრადუსს არ აღემატება, ხოლო ტენიანობა – 75%-ს.

6. რაც უფრო ადრე დავინებთ კვერცხის ინკუბაციას, უფრო მეტად გამოსადეგია, კარგია თუ არ გადავაცილებთ 7 დღეს.

7. ინკუბაციის დაწყების ნინ თუ კვერცხს შუქზე გავხედავთ და დავინახავთ, რომ საპარატო კამერა ან ყვითრი ადვილად მოძრაობს, ის საინკუბაციოდ არ გამოგვადგება. საინკუბაციო კვერცხს საპარატო კამერა ბლაგვ ბოლოზე უნდა ჰქონდეს და არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი კვერცხის მოცულობის 2-4%-ს. თუ საპარატო კამერა ბლაგვ ბოლოზე არ არის, ჩანასახი უჰაერობით იხრჩობა. ყვითრი საინკუბაციო კვერცხის ცენტრში

უნდა მდებარეობდეს. ცილა მკვრივი უნდა იყოს და არ უნდა ლაყლაყებდეს.

საინკუბაციო კვერცხის ნაჭუჭი-დან პათოგენური მიკრობების შეღწევის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია საბუდრებში სისუფ-თავის დაცვა, კვერცხის ხშირად აკრეფა სუფთა ხელებით. **საინკუ-ბაციო კვერცხის გარეცხვა დაუშვებელია.** კვერცხის ნაჭუჭი არ უნდა იყოს არც ძალიან სქელი და არც ძალიან თხელი.

8. კვერცხების შერჩევის შემდეგ ამზადებენ ბუდეს, რომელსაც ყუთში ან კალათაში აწყობენ. მისი ზომებია 60სმx40სმx40სმ.

9. ბუდეში სუფთა, მშრალ თივას ან ნამჯას აფენენ და ნახევრად ბნელ ადგილას ათავსებენ, სადაც ტემპერატურა 12-13 გრადუსზე მეტია.

10. ბუდეში კვერცხების რაოდენობა ფრინველის კვერცხის ზომაზე და გარემო ტემპერატურაზეა დამოკიდებული.

11. ბუდეში მჯდომი ფრინველი კვერცხებს მთლიანად უნდა ფარავდეს.

12. ცივ გარემოში მყოფ ბუდეში ნაკლები რაოდენობის კვერცხებს ათავსებენ, მაგალითად, ქათმისას - +11-12 გრადუსზე-13 ცალს, ხოლო +20 გრადუსზე - 16-17 ცალს.

13. ბუდის მახლობლად, ფრინველისთვის მისაწვდომ ადგილზე, უნდა იყოს სუფთა წყალი, მშრალი საკვები და ცილა. ბუდეზე მჯდარ

ფრინველს წყალი და საკვები არ ეძღვა.

14. ინკუბაციისათვის საუკეთესო დრო გაზიფრულია.

15. კრუხად უნდა ავარჩიოთ წყნარი ფრინველი, შემდეგი ნიშნებით: ფრინველი წყვეტის კვერცხდებას, დიდხანს ყოვნდება ბუდეში, იმზადებს ბუდეს და მასთან არ უშვებს სხვა ფრინველს, მიახლოებისას კრიახობს.

16. შეიძლება ქათმის ხელოვნური მოქრუხებაც. ქათამს საღამოს სვამენ ბუდეში, რომელშიც

4-5 კვერცხია. ნინასწარ რამდენიმე ბუმბულს აცლიან და ბუდეში უფენენ. ბუდეს თავს ისე აფარებენ, რომ ფრინველს არ შეეძლოს ადგომა, 5-6 დღეში ფრინველი კრიახს იწყებს.

დასაწყისში ცრუკრუხობა რომ არ იყოს, ფრინველს ვამოწმებთ, 3-4 დღე დავსვამთ

3-4 კვერცხზე და თუ არ შეწყვიტა კრუხობა, გადასვამთ ნამდვილ ბუდეში.

17. ბუდეში მჯდარ კრუხს კვერცხებს საღამოს უწყობენ. კრუხი კვერცხებს ფეხებით და ფრთებით დაფარავს. თუ ფრინველი კვერცხებს ვერ ფარავს, მაშინ ბუდიდან ზედმეტ კვერცხს ვიღებთ.

ტემპერატურა

კრუხის ქვეშ ტემპერატურა ძალიან ცვალებადია, იგი მერყეობს 33.4-38.8 გრადუსამდე (ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება 37.5-38.5°C). ტემპერატურა სხვადასხვაა კვერცხის ზედა და ქვედა მხარეს, საბუდრის ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ზედმეტი ან ნაკლები ტემპერატურისადმი ჩანასხი ძალიან მგრძნობიარება.

კრუხის საშუალებით გამოჩეკას ბუნებრივი ინკუბაცია ეწოდება. კვერცხზე ჯდომის პირველი 2-5 დღის განმავლობაში თუ ფრინველი ბუდიდან არ ამოვიდა, ის ფრთხილად ამოჰყავთ და საკვებთან სვამენ. შემდეგ დღეებში ფრინველი ბუდიდან 10-15 წუთი ამოდის. ამ დროს შეიძლება ბუდის დათვალიერებაც. ბუდეში მყოფი ფრინველი არ უნდა შევაწუხოთ. ის ვერ ეგუება ხმაურს და

ბუდის მახლობლად სხვა ფრინველის ყოფნას. ბუდიდან შეიძლება ცუდი კვერცხის ამოლება. ახლის ჩამატება დაუშვებელია.

კრუხებად ყველა სახეობის ფრინველი გამოდგება, გარდა იხვისა და ბრინჯაოსფერი ინდაურისა. უმჯობესია ადგილობრივი ფრინველი,

ქათმის ნინილი 20-21 დღეში გამოიჩინება.

იხვი და ინდაური - 26-28 დღეში, ბატი-28 დღეში (ჯიშის მიხედვით შეიძლება იყოს 27-30 დღე).

გუნდრივი გამოზრდა

კვერცხის გამოჩინების შემდეგ კრუხი ზრუნავს ნინილების გამოზრდაზე და უქმნის მას შესაფერის პირო-



ბებს. გამოჩინების პირველ სამ დღეს ნინილები დროის უმეტეს ნანილს დედასთან შებუდებულები ატარებენ. გარეთ მხოლოდ საკვების მისაღებად გამოდიან. გარემოში სითბოს მატებასთან ერთად დაბუდების დრო მცირდება.

კვერცხის ხელოვნური ინკუბაცია ფრინველთა დიდი რაოდენობით გამრავლების მიზნით ბუნებრივი ინკუბაცია არ არის ხელსაყრელი. ამიტომ ხელოვნური ინკუბაციისთვის მიმართავენ ინკუბატორებს. თანამედროვე ინკუბატორები იძლევა არჩევის სა-

შუალებას გამოსაჩინევი კვერცხის რაოდენობაზე.

შეიძლება შეიორჩეს 25, 50, 100, 250, 500, 1200 და ა.შ კვერცხისანი ინკუბატორი, რომლებიც გამოირჩევიან მაღლალი ხარისხით და მოხერხებულობით.

ხელოვნური გამოზრდა

ხელოვნური გამოზრდის დროს მოზარდის ზრდა-განვითარებისათვის ყველა საჭირო პირობები ხელოვნურად იქმნება. ამ დროს მთელი წლის განმავლობაში ერთდროულად შესაძლებელია მრავალი ფრინველის გამოზრდა.

ნინილების გამოზრდა შეიძლება როგორც საფერიან იატაკზე (საფერიან გამოვიყენოთ ნახერი, ნამჯა). ასევე გალიებით. ფრინველის ხორცის ხარისხის მიხედვით საფერი გამოზრდილ ფრინველს უპირატესობას ანიჭებენ.

ინკუბატორში გამოჩინების შემდეგ ნინილები სპეციალურ ყუთში გადაჰყავთ, რომელიც თანაბრად თბება. საწყისი ტემპერატურა ნინილების სიმაღლეზე უნდა იყოს 31-35 გრადუსი, ტენიანობა 75%. ყოველი კვირის ბოლოს ტემპერატურა 2-3 გრადუსით მცირდება და საბოლოოდ უნდა იყოს არანაკლებ 24 გრადუსისა. ამ დროს ნინილა ინტენსიურად იზრდება.

ჯანსაღ ნინილებს ახასიათებთ: ფართო თავი, კარგი სუფთა შებუსა, მოკლე ჩამჯდარი კისერი, ცოცხალი თვალები, გრძელი და განიერი ზურგი, მაგარი ფეხები, აკრული მუცელი და სუფთა უკანა ტანი.

სუსტ ნინილებს ახასიათებთ: წაგრძელებული ვინწრო თავი, უფერული ნისკარტი, ჩაცვენილი უსიცოცხლო თვალები, მოკლე ზურგი, ნერილი ფეხები, ხეულის არათანაბარი შებუსა. დიდი ჩამოშვებული მუცელი.

დაუშვებელია სხვადასხვა ასაკის ნინილების ერთად მოთავსება.

**ავრო ექსპერტთა ასოციაცია
მსამართისა, ვეტერინარიუმის,
ბიოლოგიის დოქტორი**

კომიდვრის პირზარმოებაში გამოყენებული დახვერე „თანამგზავრი“ მცენარეების გამოყენების პირლოგიური, სამურნეო და ეკონომიკური ეფექტების შესახებ

**დაზური პატრაქი,
აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრანტი**

მზია გარუაზოდი,

**აგრარული უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრის პიონერობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი**

წარმოდგენილ კვლევაში, რომელიც ჩატარებულია სა-
მაგისტრო ნაშრომის ფარგლებში და განხორციელდა შო-
თა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი MR-23-206], გან-
ხილულია პომიდვრის ბიონარმოებაში ძირითად კულტუ-
რასთან შეთესილი/დარგული ალელოპათიური შესაძლებ-
ლობების მქონე, დამხმარე „თანამგზავრი“ მცენარეების
(ლობიო, ბოსტნის რეჟანი, იმერული ზაფრანა) გამოყენე-
ბის ბიოლოგიური, სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტი-
ანობის მაჩვენებლები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის წილკნის საცდელი ბაზის მაგალითზე.

**საკვანძო სიტყვები: ალელოპათია, ბიონარმოება, ეფე-
ტიანობა**

დამხმარე „თანამგზავრი“ მცენარეების შეთესვა/დარ-
გვა ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურასთან და
მათი ალელოპათიური უნარების გამოყენება მეტად მნიშ-
ვნელოვანია მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითა-
რებისათვის (1). განსაკუთრებით დიდი ყურადღება კი ამ
საკითხს ორგანულ სოფლის მეურნეობაში ეთმობა. დამ-
ხმარე მცენარეების მიერ გამოყოფილი ბიოლოგიურად
აქტიური ნივთიერებები ე.წ. ალელოქიმიკატები გავლე-
ნას ახდენენ როგორც მეზობელ მცენარეებზე, ისე მათ
მავნებელ-დაავადებებსა და სარეველებზე. ეს გავლენა
შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.
თუმცა ალელოპათიის ორივე სახე შეიძლება წარმატე-
ბით გამოვიყენოთ მცენარეთა მავნე ორგანიზმების ბი-
ოკონტროლში (2). ალელოპათიურ დამხმარე მცენარეთა
პოპულარიზაციისა და პრაქტიკაში წარმატებით დანერ-
გვისათვის მნიშვნელოვანია, სამეცნიერო კვლევის პრო-

ცესში გაანგარიშდეს მცენარეთა დაცვის ღონისძიებებში
მათი ჩართვის არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სამე-
ურნეო და ეკონომიკური ეფექტიანობაც, რაც შემდგომში
ფერმერებს გაუადვილებს მათთვის მისაღები დამხმარე
მცენარეების შერჩევასა და გამოყენებას.

ჩვენს მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატა-
რებულ კვლევაში, რომელიც განხორციელდა შოთა რუს-
თაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით [გრანტის ნომერი MR-23-206], მნიშვნელო-
ვანი ადგილი დაეთმო პომიდვრის „თანამგზავრი“ მცენა-
რეების (ლობიო, ბოსტნის რეჟანი, იმერული ზაფრანა) ალელოპათიური შესაძლებლობების შესწავლას. კვლევა
ჩატარდა 2023-2024 წლებში სოფლის მეურნეობის სამეც-
ნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის საცდელ ბაზაზე და
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სალანძილეში
კერძო მფლობელის ნაკვეთში. კვლევის ობიექტს წარმო-
ადგენდა პომიდორი (*Lycopersicon esculentum* L.) ჯიში
„ხარისგულა“ და დამხმარე მცენარეები: რეჟანი (*Ocimum basilicum* L.), იმერული ზაფრანა (*Tagetes patula* L.) და
ლობიო (*Phaseolus vulgaris* L.) ჯიში „ცანავა“. მცენარე-
ები განთავსებული იყო 4 ვარიანტად:

ვარიანტი 1 – პომიდორთან მწკრივებში შეთესილია რე-
ჟანი;

ვარიანტი 2 – პომიდორთან მწკრივებში შეთესილია იმე-
რული ზაფრანა;

ვარიანტი 3 – პომიდორთან მწკრივებში შეთესილია
ლობიო;

ვარიანტი 4 – საკონტროლო – პომიდორი „თანამგზავ-
რი“ მცენარის გარეშე.



სურ. 1 პომიდორთან დარგული იმერული ზაფრანა



სურ. 2 პომიდორთან დარგული რეჟანი

თითოეული ვარიანტი აღებული იყო 3-3 განმეორებით. ერთი დანაყოფის ფართი შეადგენდა 30 m^2 -ს. საველე ცდების დაგეგმვა განხორციელდა ურთიერთთავსებადობისა და ალელოპათიური ურთიერთობების გათვალისწინებით (3; 4);

ექსპერიმენტული საველე კვლევის დასრულების შემდეგ ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა წილების საცდელ ბაზაზე კვლევის თითოეულ ვარიანტში ჩართულ მცენარეთა გამოყენების ბიოლოგიური ანუ ტექნიკური, სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტიანობები. ბიოლოგიური ეფექტიანობა გაანგარიშებული იქნა ფორმულით: $T = (Psak - Psac) / Psak \times 100$, სადაც T – არის ბიოლოგიური ეფექტიანობა (%-ებში), $Psak$ – საკონტროლო მცენარეების დაავადების გავრცელების პროცენტი, ხოლო $Psac$ – საცდელი მცენარეების დაავადების გავრცელების პროცენტი. სამეურნეო ეფექტიანობა გავიანგარიშეთ ფორმულით: $X = (A - B) / A \times 100$, სადაც X არის სამეურნეო ეფექტიანობა %-ებში, A – მოსავალი საცდელ ვარიანტში, B – მოსავალი საკონტროლო ვარიანტში. ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად გაანგარიშდა აღრიცხული მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლისათვის განვითარებისათვის, მიღებულ შემოსავლები და განისაზღვრა რენტაბელობა.

ბიოლოგიური ეფექტიანობის შესწავლის შედეგები მოტკანილია ცხრილ №1-ში.


ცხრილი №1

პომიდორის „თანამგ ზავრი“ მცენარეების გამოყენების ბიოლოგიური ეფექტიანობა მავნე ორგანიზმების მიმართ

ვარიანტები	ბიოლოგიური ეფექტიანობა (%)							
	მავნებლების მიმართ		დაავად-ბის მიმართ		სარეველების მიმართ			
	ბოსტნეულის მწვანე ბალინჯო (<i>Nezara viridula</i> L.)	სამხრეთამერიკულ მწვანალმე ჩრჩილი (<i>Tuta absoluta</i> (Meyrick.)	ალტერნატიული ბარიოზი <i>Alternaria</i> sp.	ვირუს- ები და მიკოპლაზმები	ლორის ბარტონი <i>Xanthium strumarium</i> L.	შალაფა <i>Sorghum halepense</i> (L.) Pers.	ხვართქელა <i>Convolvulus arvensis</i> L.	დანდური (<i>Portulaca oleracea</i> L.)
იმერული ზაფრანა პომიდორთან	64.3	60.0	12.1	75.5	50.0	50.0	-	-
რეჟანი პომიდორთან	55.4	60.0	15.2	71.1	50.0	50.0	-	-
ლობიო პომიდორთან	-	-	-	-	-	-	-	50.0
საკონტროლო (შეთესვის/დარგვის გარეშე)	-	-	-	-	-	-	-	-

დიაგრამა №1

ბიოლოგიური ეფექტიანობა



ბიოლოგიურ ეფექტიანობა გვიჩვენებს, თუ რამდენად ამცირებს მავნე ორგანიზმების გავრცელებას მცენარეთა დაცვის ესა თუ ის ღონისძიება. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა იმერული ზაფრანას ვარიანტი როგორც მავნებლების (64.3% ბოსტნეულის ბალინჯოს და 60% ჩრჩილის მიმართ), ისე ვირუსული და მიკოპლაზმური დაავადებების მიმართ (75.5%). ასევე რეპარიანტში გავრცელებული მავნებლების მიმართ აღინიშნა 55.4%-იანი და 60%-იანი, ხოლო ვირუსული და მიკოპლაზმური დაავადებების მიმართ 71.1 %-იანი ეფექტიანობა. ალტერნარიოზის მიმართ ორივე „თანამგზავრი“ მცენარის შემთხვევაში ბიოლოგიური ეფექტიანობა არ იყო მაღალი და მხოლოდ 12.1-15.2%-ს აღნევდა. რაც

